ხელშეკრულება **N11**
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
CpV:30233132

თბილისი 1 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ, სტუდია გუთანი ი/მ ალექსი გელაშვილი (ს/კ 116434956) შემდეგში, როგორც "გამყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი გელაშვილი (პ/ნ 47001015558) სახით, ხოლო, მეორე მხრივ, სსიპ ავლიპე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა, (ს/კ 240412380) შემდეგში მოხსენიებული როგორც "მყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ბეჟაშვილის (პ/ნ 40001009269) სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "გამყიდველი" ყიდის, ხოლო "მყიდველი" ყიდულობს გამყიდველის საკუთრებაში არსებულ დისკებს.

2. მიწოდების წესი

2.1 "გამყიდველს" შეუძლია ისარგებლოს შუამავალი ფიზიკური ან / და იურიდიული პირის მომსახურებით საქონლის "მყიდველისთვის" მიწოდებისთვის.

2.2 საქონლის მიწოდების ადგილად განსაზღვრულია სიღნაღის ქალაქის/რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

2.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების მიწოდება.

2.4."მყიდველი" უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთისაც გამოყოფს პირს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება. ხოლო "მიმწოდებელი" (შუამავალი ფიზიკური/იურიდიული პირი) ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

2.5. "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "მყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 25 დისკის ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს (ას) ლარს.

3.2 ანგარისშწორება განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

4. მხარეთა ურთიერთვალდებულება და პასუხისმგებლობა

4.1 "მყიდველი" უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს "მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველი ახალი ნომრის გამოსვლიდან 15 სამუშაო დღის ვადიდან ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
4.2. "გამყიდველი" უფლებამოსილია, ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 სამუშაო დღის ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დააკისროს "მყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
4.4. მე–4 მუხლის 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ დგება, თუ კი ვალდებულების შეუსრულებლობა დადგა დაუძლეველი ძალის, მესამე პირთა ბრალეულობით, ხელშეკრულების მხარეთა მიერ საქონლის (გადასახადის) განზრახ მიუღებლობის ანდა სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
5.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
5.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
5.5 მხარე ვალდებულია 6,4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
5.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს, მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. სხვა პირობები

7.1 მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასწორად შესრულებით მიყენებული ზიანი.

7.2 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებული დღეს და წელს.

8. მხარეთა რეკვიზიტები

ი/მ ალექსი გელაშვილი,რუსთავი ს/კ: 116434956 მის.: ქ.რუსთავი,იალღუჯის 11 მომსახურე ბანკი: თიბისი ბანკი ა/ა: GE74TB0217236010100001	სსიპ ავლიაბე ზურაბიშვილის სახელობის ქალაქ სიღნაღის საჯარო სკოლა ს/კ:240412380 მის.: ქ.სიღნაღი სარაჯიშვილის ქ.9 მომსახურებანკი: სს ლიბერთი ბანკი ა/ა:GE16LB0121168823524000
ი /მ: ალექსი გელაშვილი	დირექტორი: ნანა ბეჟაშვილი

ა. გელაშვილი

SCHOOLS\Sighnaghi1
Avlipe.2100